

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბრძანება №165

ქ. ბათუმი, 21 თებერვალი 2020 წ

#### მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციპალური პროგრამა „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“, რომელიც ითვალისწინებს დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული ოჯახებისათვის იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინის, მისი თვითღირებულების 15 წლის განმავლობაში გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცდა პროგრამით სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი, ხოლო საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის №73 განკარგულებით დამტკიცდა პროგრამის განხორციელების შემდეგი წესი:

ა) დამტკიცებული სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის საფუძველზე მოხდეს პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევა;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცა თანხმობა განხორციელოს შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 15 წლის ვადით საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ;

გ) იმ ოჯახებთან დაკავშირებით, ვინც სრულად და ჯეროვნად შეასრულებს მუნიციპალიტეტის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 05 სექტემბრის №350 ბრძანებით გაცემული ადმინისტრაციული დაპირების გათვალისწინებით, მოხდეს საცხოვრებელი ბინების საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა პოზიტიური პირობით (გადაცემის ფასის, ქონების მიმღების, ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით) და განხორციელდეს აღნიშნული ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ სიმბოლურ ფასად (ერთი ლარი) საკუთრების უფლებით გადაცემა.

ამავე განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა განსაზღვროს პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღების და დასრულების დრო, დაამტკიცოს შესაბამისი აუცილებელი ფორმები, დაინტერესებული პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განსაზღვროს განაცხადების მიღებაზე და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე განხორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები. განკარგულებით განისაზღვრა, რომ მიღებული განაცხადების შესწავლა-გადარჩევა, აპლიკანტი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, ანკეტის შევსება, აპლიკანტი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა (ოჯახები, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამით სარგებლობის მინიმალურ მოთხოვნებს) და აპლიკანტი ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული კონსულტანტის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადების მიღება 2020 წლის 2 მარტიდან და დასრულდეს 2020 წლის 29 მაისს.

2. განაცხადების მიღება მოხდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრებში, შემდეგ მისამართებზე:

ა) გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეული - აფსაროსის გზატკეცილი, III შესახვევი №22;

ბ) აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეული - აეროპორტის გზატკეცილი N55;

გ) ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეული - დიდაჭარის ქ. N21;

დ) კახაბრის ადმინისტრაციული ერთეული - ფრიდონ ხალვაშის გამხირის მე-12 ჩიხი N2;

ე) აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეული - დავით აღმაშენებლის ქ. N19\*;

ვ) ხიმშიაშვილის ადმინისტრაციული ერთეული - ტბელ აბუსერიძის ქ. N7;

ზ) ჯავახიშვილის ადმინისტრაციული ერთეული - ი. ჯავახიშვილის ქ. N70;

თ) თამარის ადმინისტრაციული ერთეული - იოსებ გრიშაშვილის ქ. N17;

ი) ბონი-გოროდოვის ადმინისტრაციული ერთეული - მაიაკოვსკის ქ. N23;

კ) ბაგრატიონის პირველი ადმინისტრაციული ერთეული - ვაჟა ფშაველას ქ. N93;

ლ) ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეული - ჭავჭავაძის ქ. N75;

მ) რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული - ლერმონტოვის ქ. N8;

ნ) ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეული - ლუკა ასათიანის ქ. N37\*;

ო) მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეული - თამარ მეფის გამხირი N42.

3. თანდართული ფორმით დამტკიცდეს:

ა) განაცხადის ფორმა;

ბ) სააღრიცხვო ჟურნალის ნიმუში;

გ) განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობის ნიმუში;

დ) ინსტრუქცია ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად განაცხადის მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ.

4. განაცხადების მიღების დასრულებისა და სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით კონსულტანტის შერჩევის შემდგომ დამტკიცდება ანკეტა-განაცხადის ფორმა და ინსტრუქცია ინტერვიუერს ანკეტა-განაცხადის შევსებისთვის.

5. განაცხადს თან უნდა დაერთოს:

ა) ოჯახის წევრთა პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლები;

ბ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები (პირადობის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში);

გ) ცნობა ოჯახის ერთი სრულწლოვანი წევრის მაინც ბათუმში რეგისტრაციის შესახებ, რეგისტრაციის თარიღის მითითებით (ცნობა წარმოდგენილი იყოს ოჯახის იმ წევრის რეგისტრაციის შესახებ, რომლის ბათუმში რეგისტრაციის ხანგრძლივობა უფრო მეტია);

დ) ცნობა ოჯახის წევრების სამუშაო ადგილიდან (ხელფასის მითითებით) მიმდინარე და უკანასკნელი 1 (ერთი) წლის პერიოდისათვის, ასევე იგივე პერიოდისათვის საბანკო ამონაწერი და ცნობა საგადასახადო ორგანოდან საშემოსავლო გადასახადის გადახდის შესახებ;

ე) ცნობა საჯარო რეესტრიდან და ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან საქართველოს მასშტაბით ოჯახის წევრთა საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობის/არარსებობის შესახებ;

ვ) ოჯახის ამჟამინდელ საცხოვრებელთან დაკავშირებით ქირავნობის ან სხვა შესაბამისი ხელშეკრულების ასლი (არსებობის შემთხვევაში) ან ქონების მესაკუთრის წერილობითი დოკუმენტი (ნოტარიულად დადასტურებული) ქონებით სარგებლობის თაობაზე;

ზ) ცნობა „კრედიტინფო საქართველო“-დან ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე სესხის არსებობის/არარსებობის შესახებ, საბანკო სესხის არსებობის შემთხვევაში გადახდის მდგომარეობის შესახებ;

თ) ცნობა ოჯახის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის არსებობის/არარსებობის შესახებ და მინიჭებული ქულების შესახებ;

ი) ცნობა (შესაბამისი დოკუმენტი) ოჯახის წევრების სპეციალური სტატუსის შესახებ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოჯახში, ახალდაქორწინებული წყვილი, მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანი და სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) განმცხადებელი უფლებამოსილია განაცხადს დაურთოს სხვა დოკუმენტაცია, რომელიც მისი მოსაზრებით შეიძლება საფუძვლად დაედოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

**6.** განაცხადების მიღება განხორციელდეს მატერიალური ფორმით, დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად.

**7.** შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) სოფიო მიქელაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) მარინე რუხაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე);

გ) დავით კოპინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ჯუმბერ კობალაძე - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი;

ე) გოჩა ჯიბლაძე - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის უფროსი;

ვ) მერიემ სიჭინავა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი;

ზ) ხათუნა კობალაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თ) მერი ასამბაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ი) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრის მენეჯერები (მხოლოდ თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით).

**8.** სამუშაო ჯგუფმა შეისწავლოს წარმოდგენილი განაცხადები (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) არის თუ არა სრულყოფილი და შესაბამისობაში ამ ბრძანების მოთხოვნებთან და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მათი სრულყოფის მიზნით, ასევე შეისწავლოს წარმოდგენილი განაცხადები დოკუმენტების მიხედვით ფორმალურად აკმაყოფილებს თუ არა პროგრამით სარგებლობის მინიმალურ მოთხოვნებს, შემდგომი ეტაპის განხილვისათვის. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოფს აპლიკანტი ოჯახების (რომლებიც დოკუმენტების მიხედვით ფორმალურად აკმაყოფილებენ პროგრამით სარგებლობის მინიმალურ მოთხოვნებს) ელექტრონული ბაზის მომზადებას.

**9.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს მიენიჭოს უფლებამოსილება აღმასრულებელი ორგანოს სახელით ხელი მოაწეროს აპლიკანტი ოჯახების მიერ წარმოდგენილი განაცხადების სრულყოფის მიზნით მისაწერ შესაბამის წერილებს, ასევე სამუშაო ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე ნებისმიერ დოკუმენტს.

**10.** მიღებული განაცხადების, რომლებიც ფორმალურად აკმაყოფილებენ პროგრამით სარგებლობის მინიმალურ მოთხოვნებს, შესწავლა-გადარჩევა, აპლიკანტი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, ანკეტის შევსება, აპლიკანტი ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება და აპლიკანტი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული კონსულტანტის მიერ. ამისათვის კონსულტანტს ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების განხორციელების უფლება და შესაძლებლობა (მონაცემების შესწავლა, უტყუარობისა და სიზუსტის დადგენა, ოჯახის შემადგენლობაში მყოფი პირების იდენტიფიკაცია, ოჯახის შესახებ საჭირო სხვა

ინფორმაციის მოპოვება და სხვა). თუ დადგინდება, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებები, კონსულტანტი ვალდებულია მოსთხოვოს აპლიკანტ ოჯახს ასეთი დოკუმენტების წარდგენა. კონსულტანტის სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით.

**11.** შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლელა სურმანიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) სოფიო მიქელაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) დავით კოპინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ეთერ ლომაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი;

ე) ედნარ ნატარიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ვ) რუსუდან ჟოჯაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;

ზ) მუხრან ჯორბენაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი;

თ) სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით შერჩეული კონსულტანტის 2 წარმომადგენელი.

**12.** კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ამ მიზნით გაეგზავნოს მოთხოვნა კანდიდატურების შერჩევისათვის. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნება მათ მიერ წარმოდგენილი 2 კანდიდატურა.

**13.** კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეგზავნოს მოთხოვნები კანდიდატურების შერჩევისათვის. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნება მათ მიერ წარმოდგენილი 3 კანდიდატურა.

**14.** კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს. ამ მიზნით გაეგზავნოს მოთხოვნა კანდიდატურების შერჩევისათვის. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნება მათ მიერ წარმოდგენილი 2 კანდიდატურა.

**15.** კომისიამ უზრუნველყოს კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი შედეგების განხილვა და კონსულტანტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაციის მიცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის პროგრამით მოსარგებლე ოჯახების განსაზღვრისა და შედეგების დამტკიცების თაობაზე. კომისია, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სამუშაო ჯგუფის წევრები.

**16.** შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯაბა ტულუში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ნუკრი დეკანაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) რამაზ მამულაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

დ) ვახტანგ გედენიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი;

ე) ხათუნა აბულაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის და არქივის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

**17.** საპრეტენზიო კომისია დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში განიხილავს სამუშაო ჯგუფის და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ღებულობს სარეკომენდაციო ხასიათის შესაბამის გადაწყვეტილებას. დაინტერესებული პირის მიერ საჩივარი საპრეტენზიო კომისიაში წარდგენილი უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. დაგვიანებით წარდგენილი საჩივარი არ განიხილება.

**18.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსს (ეთერ ლომაძე) განაცხადების მიღების დაწყებამდე უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრის მენეჯერებისა და თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება პროგრამის შესახებ, ასევე განაცხადების მიღების პროცედურებისა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.

**19.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს (თეა ჩიჩუა) მოამზადოს საინფორმაციო რგოლი პროგრამის შესახებ და უზრუნველყოს მისი ადგილობრივ მედიასაშუალებებში განთავსება, ასევე მოამზადოს საინფორმაციო ბუკლეტი (ფურცელი), სადაც მითითებული იქნება პროგრამით სარგებლობის მინიმალური კრიტერიუმები, აპლიკანტი ოჯახების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, განაცხადის შევსების ინსტრუქცია და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

**20.** წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**21.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**22.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

განაცხადი № \_\_\_\_\_  
 განაცხადის ჩაბარების თარიღი

დამტკიცებულია  
 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
 მერის 2020 წლის 21 თებერვლის  
 №165 ბრძანებით

რიცხვი \_\_\_\_\_ თვე \_\_\_\_\_ წელი \_\_\_\_\_

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას**  
 (შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება)

**განაცხადი**

გთხოვთ, შეიყვანოთ ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების ბაზაში ჩვენი ოჯახის მონაცემები, რომელიც ცხოვრობს შემდეგ მისამართზე:

საფოსტო ინდექსი 6010

ქალაქი ბათუმი, ქუჩა \_\_\_\_\_

სახლი (კორპუსი) \_\_\_\_\_ ბინა \_\_\_\_\_ ტელეფონი \_\_\_\_\_

ქვემოთ ჩამოთვლილი პირები მუდმივად ვცხოვრობთ ერთ მისამართზე. გვაქვს სურვილი ჩვენი ოჯახის მონაცემები შეტანილ იქნას ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველ ოჯახთა მონაცემთა ბაზაში და მზად ვართ უპირობოდ შევასრულოთ განაცხადის მე-2 გვერდზე მითითებული ვალდებულებები, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით.

ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში ჩვენი ოჯახიდან საკონტაქტო პირად ვასახელებთ \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_, რომელსაც ვაძლევთ უფლებამოსილებას, რათა წარმოადგინოს ჩვენი ოჯახის მონაცემები.  
სახელი გვარი  
 პირადი ნომერი \_\_\_\_\_

№	ოჯახის წევრის გვარი	ოჯახის წევრის სახელი	ასაკი ჩაწერეთ შესრულებულ წელთა რიცხვი	პირადობის (ბინადრობის) მოწმობის /საქართველოს მოქალაქის პასპორტის N (სრულწლოვანი წევრებისთვის) ან დაბადების მოწმობის N (არასრულწლოვანი წევრებისთვის)	პირადი № მითითება: ყოველ უჯრაში ჩაწერეთ თითო ციფრი	ხელმოწერა სავალდებულოა ოჯახის ყველა 16 წლის და უფროსი ასაკის ქმედუნარიანი წევრისათვის (საჭიროების შემთხვევაში ხელს აწერს მინდობილი პირი)
1					_____	
2					_____	
3					_____	
4					_____	
5					_____	
6					_____	
7					_____	
8					_____	
9					_____	
10					_____	
11					_____	
12					_____	

**ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების მუნიციპალური პროგრამა**

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას ექვემდებარება ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში არ გააჩნია საცხოვრებლად ვარგისი ბინა/სახლი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი (რომლის ფართობი აღემატება 10 კვადრატულ მეტრს), აქვს სურვილი ბინის/სახლის მიღებისა და გააჩნია შესაძლებლობა დაფაროს განვადებით მიღებული სახლის საფასური.

აღნიშნული პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ოჯახად მიიჩნევა ოჯახის უფლებამოსილი პირი, მისი მეუღლე და მშობლებთან მუდმივად მცხოვრები შვილი/შვილები (მათი მეუღლე(ები)) ან უფლებამოსილი პირის მშობლები და ბებია/ბაბუები, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, სხვა ოჯახისგან განცალკევებულ ფართში. ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

- პირ(ებ)ი, რომელიც ოჯახთან ერთად ფაქტობრივად არ ცხოვრობს დასაქმების ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო, გარდა იმ პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვა რეგიონში ან უცხოეთში და მათი დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ირიცხება აპლიკანტი ოჯახის რომელიმე წევრის საბანკო ანგარიშზე;
- სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი, გარდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული (5 წლამდე თავისუფლება აღკვეთილი) პირისა;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტი ხნით მყოფი პირი, გარდა იმ პირისა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად;
- სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი.

**ოჯახის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის საჭიროა ამ განაცხადის გარკვევით, სწორად და სრულად შევსება.**

**შეტანილი მონაცემების სისწორე და ოჯახის მზადყოფნა ქვემოთ მითითებული ვალდებულებების შესრულებაზე დასტურდება ოჯახის ყოველი 16 წლის და უფროსი ასაკის ქმედუნარიანი წევრის პირადი ხელმოწერით შესაბამის გრაფაში.**

**აპლიკანტი ოჯახების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:**

- o ოჯახის წევრთა პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლები;
- o ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები (პირადობის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში);
- o ცნობა ოჯახის ერთი სრულწლოვანი წევრის მაინც ბათუმში რეგისტრაციის შესახებ, რეგისტრაციის თარიღის მითითებით (ცნობა წარმოდგენილი იყოს ოჯახის იმ წევრის რეგისტრაციის შესახებ, რომლის ბათუმში რეგისტრაციის ხანგრძლივობა უფრო მეტია);
- o ცნობა ოჯახის წევრების სამუშაო ადგილიდან (ხელფასის მითითებით) მიმდინარე და უკანასკნელი 1 (ერთი) წლის პერიოდისათვის, ასევე იგივე პერიოდისათვის საბანკო ამონაწერი და ცნობა საგადასახადო ორგანოდან საშემოსავლო გადასახადის გადახდის შესახებ;
- o ცნობა საჯარო რეესტრიდან და ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან საქართველოს მასშტაბით ოჯახის წევრთა საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობის/არარსებობის შესახებ;
- o ოჯახის ამჟამინდელ საცხოვრებელთან დაკავშირებით ქირავნობის ან სხვა შესაბამისი ხელშეკრულების ასლი (არსებობის შემთხვევაში) ან ქონების მესაკუთრის წერილობითი დოკუმენტი (ნოტარიულად დადასტურებული) ქონებით სარგებლობის თაობაზე;
- o ცნობა „კრედიტინფო საქართველო“-დან ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე სესხის არსებობის/არარსებობის შესახებ, საბანკო სესხის არსებობის შემთხვევაში გადახდის მდგომარეობის შესახებ;
- o ცნობა ოჯახის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის არსებობის/არარსებობის შესახებ და მინიჭებული ქულების შესახებ;
- o ცნობა (შესაბამისი დოკუმენტი) ოჯახის წევრების სპეციალური სტატუსის შესახებ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოჯახში, ახალდაქორწინებული წყვილი, მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანი და სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- o სხვა დოკუმენტაცია \_\_\_\_\_

(დოკუმენტის დასახელება)

სულ დანართი:           ფურცელი.

**მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია წარმოდგენს წინაპირობას და არა გარანტიას შემდგომში ბინის მიღებისათვის**

განაცხადის წარმდგენი ოჯახის წევრები (წევრი) ვიღებთ ვალდებულებას შემდეგი პირობების შესრულებაზე:

1. დილის 9:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე დაუბრკოლებლად მივიღოთ ბათუმის მერიის უფლებამოსილი წარმომადგენელი ჩვენს საცხოვრებელში, მისი სამსახურებრივი ვალდებულების შესასრულებლად;
2. მივცეთ მას საშუალება სრულად დაათვალიეროს ჩვენი ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი და საერთო სარგებლობის სათავსოები, შეამოწმოს ყოფითი პირობები;
3. ობიექტური პასუხები გავცეთ ბათუმის მერიის უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკითხვებს და არ დავამახინჯოთ ფაქტები;
4. მოთხოვნისამებრ, წარვადგინოთ საჭირო დოკუმენტები და გადავცეთ ამ დოკუმენტების ასლები;
5. ხელი მოვაწეროთ ბათუმის მერიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გამოკითხვის შედეგად შევსებულ დოკუმენტს, განსხვავებული აზრის არსებობისას დავაფიქსიროთ საკუთარი შენიშვნები;
6. მივცეთ უფლება ბათუმის მერიის შესაბამის სამსახურს/უფლებამოსილ წარმომადგენელს მოიპოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ჩვენი ოჯახის და მისი წევრების ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს, შეიტანოს ეს ინფორმაცია „ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“.

**ვადასტურებთ, რომ მე და განაცხადში აღნიშნული პირები გავცევანით განაცხადის შინაარსს და მზად ვართ პასუხი ვაგოთ მონაცემთა გაყალბებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.**

**ვადასტურებთ, რომ:**

- ოჯახის წევრების ხელმოწერა ნამდვილია;
- ოჯახის წევრები მუდმივად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;
- აღნიშნული პირების გარდა მითითებულ მისამართზე, ოჯახთან ერთად, სხვა წევრები არ ცხოვრობენ.

ოჯახის საკონტაქტო პირი

.....

ხელმოწერა	სახელი, გვარი	რიცხვი	თვე	წელი
-----------	---------------	--------	-----	------



## ინსტრუქცია

### ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად განაცხადის მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ

#### მუხლი 1. განაცხადი აღრიცხვაზე ასაყვანად

1. ნებისმიერმა ოჯახმა, რომელიც მიიჩნევს, რომ საჭიროებს ბინას და თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით თვლის, რომ შეუძლია დაფაროს მიღებული ბინის საფასური 15 წლის განმავლობაში, შეუძლია შეავსოს განაცხადის დადგენილი ფორმა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის აღრიცხვაზე ასაყვანად.

2. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია წარმოადგენს წინაპირობას და არა გარანტიას ბინის მიღებისათვის.

3. განაცხადის ფორმის მიღება შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

4. დაუშვებელია განაცხადის გაცემისას რაიმე დოკუმენტის მოთხოვნა ან რაიმე სახის დაბრკოლების შექმნა. ასევე, განაცხადის გაცემისათვის რაიმე საფასურის დაწესება.

5. ერთ პირზე ერთდროულად ორზე მეტი განაცხადის ფორმა არ გაიცემა.

6. განაცხადის გაცემისას მის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით, მისცეს ახსნა-განმარტება განაცხადის შევსების საჭიროებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

#### მუხლი 2. განაცხადის შევსება

1. განაცხადი წარმოადგენს სააღრიცხვო დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს პირის ან პირთა ჯგუფის (ოჯახის) ნებას მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად.

2. განაცხადი ივსება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახის მიერ.

3. განაცხადის შევსებისას ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

ა) პირ(ებ)ი, რომელიც ოჯახთან ერთად ფაქტობრივად არ ცხოვრობს დასაქმების ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო, გარდა იმ პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვა რეგიონში ან უცხოეთში და მათი დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ირიცხება აპლიკანტი ოჯახის რომელიმე წევრის საბანკო ანგარიშზე;

ბ) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი, გარდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული (5 წლამდე თავისუფლება აღკვეთილი) პირისა;

გ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტი ხნით მყოფი პირი, გარდა იმ პირისა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად;

დ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი.

4. განაცხადის შევსება ხდება განაცხადის ფორმის სათანადო გრაფაში შესაბამისი მონაცემების ჩაწერით. ჩანაწერი კეთდება კალმით, გარკვეული ხელწერით. შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია მოინიშნება, ხოლო სხვა დოკუმენტაციაში ჩაიწერება დოკუმენტ(ებ)ის დასახელება.

5. შევსებას ექვემდებარება განაცხადის ყველა საჭირო გრაფა.

6. სახელისა და გვარის მითითებისას განაცხადის შესაბამის გრაფაში იწერება ამ პირის პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნული სახელი და გვარი.

7. ოჯახის შემადგენლობაში მყოფი ყოველი 16 წლის და უფროსი ასაკის მქონე პირის შესახებ განაცხადის შესაბამის გრაფაში სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა აღინიშნოს ამ პირის პირადი (ბინადრობის) მოწმობის ნომერი, ამ დოკუმენტებით განსაზღვრული პირადი ნომერი და ხელმოწერა.

8. ოჯახის შემადგენლობაში მყოფი 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე ივსება სპეციალური გრაფა, სადაც აღინიშნება სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, დაბადების მოწმობის ნომერი (პირადობის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში) და პირადი ნომერი.

9. განაცხადის ის გრაფა, რომელიც შევსებას არ საჭიროებს, გადაიხაზება.

მაგ.: 

10. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მარტოხელა პირები ვერ უზრუნველყოფენ განაცხადის ფორმის შევსებასა და საკომუნიკაციო პუნქტში ჩაბარებას, აღნიშნული ქმედებების განხორციელება შეუძლიათ მიანდონ ნდობით აღჭურვილ პირებს.

### **მუხლი 3. განაცხადის ჩაბარება**

1. შევსებული განაცხადი ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ ბარდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის სერვისცენტრში.

2. შევსებული განაცხადის ჩაბარება ადასტურებს ამ ოჯახის (მასში შემავალი პირების) თანხმობას, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა მისი იდენტიფიკაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს ინფორმაცია.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს:

ა) განაცხადის ფორმებისა და სხვა თანმხლები დოკუმენტების (საინფორმაციო და განმარტებითი წერილები, ბუკლეტები და სხვ.) მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობას;

ბ) განაცხადის ჩაბარებისას მისი შევსების სისწორის კონტროლს (მაგ.: პირადი ნომრის ჩაწერას შესაბამის გრაფაში);

გ) განაცხადის შევსების სისრულის კონტროლს (მაგ.: შევსებულია თუ არა განაცხადის ყველა საჭირო გრაფა, აქვს თუ არა ხელმოწერა და სხვ.);

დ) განაცხადის სწორად შევსების მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რეკომენდაციებისა და განმარტებების მიცემას;

ე) შევსებული განაცხადის ფორმის მიღებას და სპეციალურ ჟურნალში აღრიცხვას;

ვ) განაცხადის დამუშავების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას;

ზ) აღრიცხვის პროცესთან დაკავშირებით სხვა დამატებითი ქმედებების განხორციელებას.

5. დაუშვებელია არასრულყოფილად ან არასწორად შევსებული განაცხადის ფორმის მიღება.

6. არასრულყოფილია განაცხადი, თუ გამოტოვებულია სავალდებულო შევსებას დაქვემდებარებული რომელიმე გრაფა (მაგ.: აკლია პირადი ნომერი, არ არის აღნიშნული მისამართი, აკლია ხელმოწერა და სხვ.).

7. არასრულყოფილად შევსებული განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წარმომდგენს უკან დაუბრუნოს განაცხადის ფორმა და მისცეს განაცხადის სრულყოფილად შევსებისათვის საჭირო მითითებები.

8. არასწორია განაცხადი, თუ ერთ გრაფაში შესატანი მონაცემები შეტანილია შინაარსობრივად განსხვავებულ გრაფაში (მაგ., პირადი ნომრის გრაფაში მითითებულია დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი).

9. ჩაბარებას არ ექვემდებარება შევსებული განაცხადის იმგვარად დაზიანებული, დახეული ანდა გადასწორებული ფორმა, რომლიდანაც საეჭვოა ან შეუძლებელია შეტანილი მონაცემების (ინფორმაციის) ამოკითხვა.

10. თუ შესაძლებელია განაცხადის ფორმის შევსებისას დაშვებული ხარვეზების ადგილზე აღმოფხვრა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირის მითითების საფუძველზე წარმომდგენი ადგილზევე სრულყოფს განაცხადის ფორმას.

11. განაცხადის ფორმის შევსების გამარტივების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება განაცხადის ფორმის შევსებული ნიმუში.

#### **მუხლი 4. განაცხადის აღრიცხვა**

1. მერიის პასუხისმგებელი პირი სწორად და სრულად შევსებული განაცხადის მიღებისას განაცხადზე აღნიშნავს მისი ჩაბარების თარიღს, აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში და ანიჭებს ნომერს.

2. ოჯახსაც ენიჭება იგივე ნომერი, რაც სააღრიცხვო ჟურნალის მიხედვით განაცხადის-თვისაა მინიჭებული.

3. პასუხისმგებელი პირი ახდენს განაცხადის ჟურნალში აღრიცხვას უწყვეტი ნუმერაციით, არაბული ციფრების გამოყენებით.

4. დაუშვებელია ერთი და იმავე ნომრის სხვადასხვა განაცხადისათვის მინიჭება.

5. ჟურნალში შეიტანება განაცხადის აღრიცხვის ნომერი, თარიღი, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

6. განაცხადის ჩაბარების ფაქტი დასტურდება ჟურნალის სპეციალურ გრაფაში ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7. განაცხადის ჩაბარებისა და ჟურნალში გატარების შემდეგ ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელზე გაიცემა განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა, რომელშიც აღინიშნება განაცხადის ნომერი, განაცხადის ჩაბარების თარიღი, განაცხადის მიმღები პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

#### **მუხლი 5. განაცხადის დამუშავება**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების პირველად დამუშავებას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი განაცხადების (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) შესწავლას არის თუ არა სრულყოფილი და შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას მათი სრულყოფის მიზნით.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია შეისწავლის წარმოდგენილ განაცხადებს დოკუმენტების მიხედვით ფორმალურად აკმაყოფილებს თუ არა პროგრამით სარგებლობის მინიმალურ მოთხოვნებს, შემდგომი ეტაპის განხილვისათვის.



განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობის ნიმუში

ცნობა

განაცხადი ჩავიბარე: \_\_\_\_\_  
პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი

განაცხადის N: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_ ხელმოწერა: \_\_\_\_\_